



გუშინ მრავალი თბილისელი შეამჩნევდა სპორტულ ფორუმში გამო-

ალექსანდრე კობრაშვილის ფოტორეპორტაჟი.



საპარტვილო სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ორგანო... 4 ნომერი, 330 რა, 1990 წ.

ხსნის გზა ერთია: მივხატოთ საპარტვილო საზღვაო სანაოსნოს

სპორტის აჭარის რეგიონალურმა ორგანიზაციამ შეისწავლა აჭარის ძირითადი სპორტული ბაზების მდგომარეობის საკითხი.

ძალიანაც რომ გვინდოდეს ვერ ჩამოვთვლით ყველა იმ სპორტულ ნაგებობას, რომელსაც დღეს მზრუნველი ხელი ესაჭიროება.

საპარტვილო სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ორგანო... 4 ნომერი, 330 რა, 1990 წ.

მსოფლიო ტექნიკური შედეგები მოკრივეთა ტურნირები... სკოლა), ვ. მამედოვი (ფონიჭალოს საშ. სკოლა).

გამარჯვებულები: ზ. კულიევი (52-ე სკოლა), კ. მიხაილოვი (ძვ. ქანდას სკოლა).

საპარტვილო სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ორგანო... 4 ნომერი, 330 რა, 1990 წ.

გარნი. აქ მიმდინარეობს საფრანგეთის დელეგაციის ღია პირველობა ჩოგბურთში.

გვანდობნარტ, ნაგვიონარო!

გვანდობნარტის ოლიმპიურ სარტილზე

ლიანა ცოტავე სპორტული კარიერა ტანვარჯიშით დაიწყო. 8 წლისა იყო, პირველად რომ შეიბიჯა სატანვარჯიშო დარბაზში და საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს ემა ქოქოშვიტს გულის ნადები გაუმხილა. ნიჭიერი შეგირდი გამოდგა ლიანა — მალე საქართველოს ჩემპიონი გახდა, ერთ-ერთ საკავშირო შეჯიბრებაზე გამოვიდა, არცთუ ურთავოდ, სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივიც შეასრულა; მოკლედ, ეტყობოდა, მისგან კარგი ტანვარჯიში დადგებოდა, მშობლებიც ყველანაირად ხელს უწყობდნენ მის გატაცებას, მაგრამ...

ლიანა ნაძალადევის ცხოვრობდა, მის მეზობლად წყალში ხტომაში საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, იური გუტიაშვილი ცხოვრობდა. იურის და მის მეუღლეს — ლიანა გუტიაშვილს შეუშინებელი არ დარჩენიათ ცეკვი, მოუსვენარი, გომეზიწინაგვებიანი მეზობელი და ერთხელაც ლიანას მამას სთხოვეს, იქნება აუზზე მოიყვანო ჩემპიონი, წყალში ხტომაში სცადოს ბედით.

— მაშინ ცურვა არ ვიცოდი, წყალში ხტომა — სპორტის ასეთი სახეობა თუ არსებობდა, არც ვიცოდი. მართლაც, მიმიყვანა მამაჩემმა ვაჟის საცურაო აუზში, წელზე თოკი შემამბეს და რამდენჯერმე გადმომახტუნეს, ერთმეტრის ტრამპლინიდან — იგონებს ლიანა.

ეტყობა, მისმა პირველმა ნახტოვებმა მოხიზოდა გუტიაშვილები — ბატონმა იურმა ლიანას მამას, შვილს რომ არ გეგონა, ისე ჩასჩურჩულა — ამ სპორტისთვის არის დაბადებული შენი გოგონაო.

მაგრამ, მიუხედავად მშობლების თანხმობისა, ასე იოლად არ გადაწყვიტოდა ლიანას ბედი. ტანვარჯიშის სკოლის დირექტორმა მიხეილ იმნაიშვილმა არაერთხელ მოაკითხა სახლში, არაერთხელ შეეცადა მისი და მისი მშობლების დარწმუნებას, — სპორტულ ტანვარჯიშში უფრო მეტს მიაღწევს, ვიდრე წყალში ხტომაში, ტანვარჯიშში საფუძვე-

ლიც აქვს, წყალში ხტომისთვის კი ვერ ივარგებს, ცურვაც კი არ იცისო, მ. იმნაიშვილი და ი. გუტიაშვილი შელაპარაკდნენ კიდევ ნიჭიერი გოგონას გულისთვის, მაგრამ გუტიაშვილებმა მიინც თავისი გაიტანა, ლიანაც დაიყოლია და ამ დღიდან დაიწყო წინსვლა სპორტული მწვერვალებისკენ.

პირველად, რა თქმა უნდა, ცურვა ისწავლა, შემდეგ ლუდშილა გუტიაშვილს მამარა მეუღლემ ლიანა, მასთან ორი წელი დაყო და კვლავ დაუბრუნდა იურის. ორ წელიწადში სპორტის ოსტატი გახდა, რამდენჯერმე (თავად არ ახსოვს) საქართველოს თასი და ჩემპიონობა მოიგო, სამჯერ საბჭოთა კავშირის თასსაც დაიუფლა; მაგრამ ამათგან მიინც 1979 წლის თასის გათამაშება ლიანასთვის დაუეცყარო, არა იმიტომ, რომ აქ რაიმე განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია, არამედ...

— ჯერ ერთი, ეს ჩემი პირველი წარმატება იყო, მეორეც, ამ შეჯიბრებაში 10-მეტრის კოშკიდან ხტომაში მე და სერგო მლინაშვილმა გავიმარჯვეთ. ნიჭიერი, შრომისმოყვარე სპორტსმენი იყო სერგო და, რაც მთავარია, უნდალბო მეგობარი. ბევრჯერ ყოფილა, სერგოს ბრწყინვალე ნახტომს დაკარგული პოზიციები დაუბრუნებია ჩემი გუნდისთვის და ამის შემდეგ ჰყენც, მის თანაგუნდელსაც, გვირგვინები საკუთარი ძალებით.

მალე საერთაშორისო ტურნირებშიც „გაუგო გემო“ ლიანამ. პირველ უცხოურ შეჯიბრებაზეც 1979 წელს გაემგზავრა ბულგარეთში და, რა თქმა უნდა, ოქროს მედალი დაგვიბრუნდა, მაგრამ უიღბლოდ ყოველთვის თან სდევდა. ხომ ამდენ წარმატებას მიაღწია თავისი ხანგრძლივი სპორტული კარიერის მანძილზე, მაგრამ — ვერ იქნა და, ვერც ევროპის, ვერც მსოფლიო ჩემპიონატებში ვერ იასპარეზა, ყოველთვის ერთი მიზეზი უშლიდა ხელს — ხან „უასაკო“ იყო, ხან „გადანადილი“... შეჯიბრებების მონაწილეთათვის დაწესებულ ასაკს ვერა



და ვერ მოერგო მისი წლოვანება. სამედიცინოდ, ლიანა ცოტავე ის ბედნიერი გამოჩნდა, რომელმაც ყველა სპორტსმენისათვის საამაყო და საოცნებო ოლიმპიურ თამაშებზეც მიიღო მონაწილეობა, თუმცა არც ოლიმპისკენ მიმავალი გზა იყო იმ-ვარდებით მოფენილი.

— საკავშირო ნაკრების მთავარ მწვრთნელს ევგენი ბუროს რატომაც თვალში არ მოვლიდი და საეჭვო იყო — მივდივდი თუ არა მონაწილეობას მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებში. შესანიშნავ ფორმაში ვიყავი, მაგრამ მიინც ექვსი მეტრის სიღრმის აუზებში ჩემს ნაცვებს ვერ ვიყავი, მას კი ოლიმპიადამდე გუნდში, მას კი ოლიმპიადამდე მთავარ საკვალიფიკაციო და შესარჩევ ტურნირში ვაჯობე. გული მიინც არ გავიტეხე, ვიცოდი, თუ სეზონის ბოლოს საკავშირო ჩემპიონატსა და ხალხს VIII სპარტაკიადის მოფიგებდი, ფავალ ვეღარ დაუბუქებდნენ ჩემს გამარჯვებებს

და ვიასპარეზებდი მოსკოვში. საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში გავიმარჯვე, ახლა მეორე „ქულა“ — სპარტაკიადის ჩემპიონობა იყო საჭირო, მაგრამ ამ შეჯიბრების წინ მოვიწამლე, ძალზე ცუდად გავხდი, ათარ ვაპირებდი სარბიულზე გამოსვლას, ეს კი ოლიმპიადის საგზურის დაკარგვას ნიშნავდა.

საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელებმა მიინც გადაწყვიტეს, ლიანა კოშკიდან გადმომახტარიყო, იმედოვნდნენ, თუ მედალს ვერ მოიგებს, გამოცდილება მიინც ბევრს ნიშნავს და იქნებ გუნდის ქულები მიინც შემატოსო. ცოტა ზედმეტად კი გაუმართლდათ მწვრთნელებს ვარაუდი — ლიანა არც ქულებს დასჯერდა, არც სხვა ხარისხის მედალებს და მიინც, როცა ამას არავინ ელოდა, ტურნირის ფავორიტს, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს ირინა კოლინინასაც აჯობა და ჩემპიონის ოქროს მედალზეც დაიმსახურა, რომელმაც ოლიმპიადამდე გამგზავრების საშუალება მისცა მას.

ოლიმპიადის წყალში მტომელთა შეჯიბრებაზე თავიდანვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი ბუაქე იაშვე დაწინაურდა და რამდენიმე ნახტომის შემდეგ, ნათელი იყო, პირველ ადგილს მას ვერავინ შეეცილებოდა, აი, ვერცხლოს მედალისთვის კი ორი საბჭოთა სპორტსმენი იბრძოდა — ლიანა ცოტავე და სილვარდ ემირიანი. სამწუხაროდ, როგორც ეს არაერთხელ მოხდა, მსაჯებმა რატომაც იმპატიები ამ უკანასკნელს უწილდეს და ქართველ გოგონას მხოლოდ ბრინჯაოს მედალი არგუნეს. თუმცა ესეც დიდი მიღწევა იყო, ლიანამ, რაც მთავარია, დაამტკიცა, რომ ღირსი იყო მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენთა ფორუმში მონაწილეობისა (თუმცა, როგორც გახსოვთ, რამდენიმე კაბიტალისტურმა ქვეყნმა ბოიკოტი გამოუცხადა მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებს და მრავალი ქვეყნის სპორტული დელეგაციონი საერთოდ არ ჩამოვიდა მოსკოვში, ანდა თითო-ორთა სპორტსმენი მოგვინა), თანაც იგი ჯერჯერობით ერთადერთი წყალში მტომელი საქართველოდან, რომელმაც „ოლიმპიურ სამეულში“ დაიკავა ადგილი. სწორედ ოლიმპიადის დღეებში განაცხადა იტალიის წყალში მტომელთა ნაკრების მწვრთნელმა, სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა კლავდიო დიბანსიმ საყველთაოდ ცნობილი სიტყვები: „ლიანა ცოტავე რომ მომცა, არც საბჭოელ, არც გერმანელ წყალში მტო-

მელებს ტოლს არ დაუდებდა იტალიის ქალთა ნაკრები“. მაგრამ, საბედნიეროდ, მას არავინ არ მისჯემდა ღირსი ტიტული, იგი დღემდე იცავდა და იცავს ქართველი-სპორტის ღირსებას. ოლიმპიადამდე გომოსკოს, ეტყობა, ლიანამ შეგირდის ენერჯია შესწირა და, ამიტომ, 1981 წელს, სადაც გამოვიდა, ყველაგან საკუთარ შესაძლებლობებზე სუსტად იასპარეზა. თუმცა მან მხოლოდ იგონებდა ჩვეული ფორმა — ერთ წლის შემდეგ ყველასთვის ისევე ანგარიშგასაწევ მტომელ თვლებოდა, საკავშირო ჩემპიონატსა და რუმინეთის საერთაშორისო ტურნირზე IV ადგილები დაიკავა, როგორც თავად იგონებს, „მეორე სუნთქვა“ ესწინებოდა, მაგრამ არ „დასცალდა“...

ოლიმპიადიდან ორი წლის თავზე გათხოვდა, მალე შევილიც შევიძინა; ამის შემდეგაც არ მითრთვებია სპორტი. პატარა ნინიო რომ წამოიზარდა, კვლავ მიაშურა დედამისმა ცისფერ ბილიებს, ხალხთა IX სპარტაკიადისთვის მზადება დაიწყო. სიმართლე რომ იქნება, თავად არც აპირებდა სპორტში ხელახლა დაბრუნებას, სთხოვეს, — სპორტის შესვერებამაც და გულშემოტყვირებამაც — ლიანაც დასთანხმდა „ამ ერთხელაც“ გადმოხტებოდა „ქულრიდნო, მაგრამ ისევე თანხმდებოდა უიღბლობა შეახსენა თავი... სპარტაკიადის მონაწილეთა დელეგაციონსა ლიანა რამდენიმე წლით უფროსი აღმოჩნდა, თუმცა ეს ბოლო მომენტში შეიტყო, როცა შეჯიბრების დაწყებას ბევრი აღარაფერი აკვდა და ლიანაც შესანიშნავ სპორტულ ფორმაში იყო. ასე თუ ისე, არც ამ წამიერი გაულებების უფლება მიეცა. აქ კი საბოლოოდ დასრულდა ლიანა ცოტაძის სპორტული კარიერა, მალე მეორე გოგონაც შეეძინა — თათია და, როგორც თავად ლიანა გვარწმუნებს, 1984 წელს მხოლოდ მის სპორტულ კარიერას დაედო სამანი და არა ცოტაძის ოჯახისა, რადგან მისი ორივე ქალიშვილი, დედისგან განსხვავებით, პატარაობიდანვე წყლისკენ მიიწვიეს (ნინო 7 წლისაა, თათია — სამისა, და, თუ ჩვენს ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო სპორტსმენს დაუჯერებთ, მომავალში დედის არც ერთი არ უნდა ჩამოუვარდეს).


გნახოთ! ისე კი, მოგესხენებთ, დედის გუმანი ცოტას როდი ნიშნავს, თანაც სპორტში გენები ფრად მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ლევან ჯაგანიშვილი

შახვედრა წარსულთან

„ლელი“ მაშინ კვირაში ერთხელ გამოდიოდა, პარასკევობით. ტირაქი სულ 15 ათასი იყო. ბარემ იმასაც ვიტყვით, რედაქცია იმხანად ელბაქიდის დაღმართზე, თორმეტ ნომერი სახლის მეორე სართულზე მდებარეობდა და სულ ერთი ტელეფონი ჰქონდა (თუმცა დღისგან განსხვავებით ნაღდად მუშაობდა).

ახლა კი სიტყვა, როგორც იტყვიან. ჩვენი წერილის მიზეზს — რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს, სპორტის ოსტატ ბიჭიკო (ნიკოლოზ) ანდრონიკაშვილს მივცეთ: — 27 წლისა ვიყავი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა მსახიობი და სპორტსმენი ვახლდით. ვერაზე ვცხოვრობდი მაშინაც, ახლანდელი ფილარმონიის წინ. ჩემს ოთახში ტელეფონი აწკრილდა. მოკრძალებული ხმა გაიჟინა: „ლელი“ რედაქციიდან გაწუხებთ, გურამ თიკანაძე ვარ, თქვენზე მასალას ვაპირებთ (იგი გახვითა 1950 წლის 3* ნომერში ჩემს დაბეჭდვას და ფოტოსურათის გადაღება დამავალს“. რეპერტუარზე მიმეჩქარებოდა თეატრში, ამიტომ დავთქვეთ, რომ მუადლისას პიონერთა სასახლის სპორტულ მოედანზე შევხვედროდი ერთმანეთს. იქ საქართველოს ქალთა ნაკრებს ვეპარჯებოდი არმო თევოსთან და სერგო ტარახნიანთან ერთად. სანამ წავიბრუნე დაიწყებოდა, გურამმა ოთხი-ხუთი კადრი გადაამოღო თავისი „ფედიტ“ თუ „ზორკით“, რედაქციაში ორი ფოტო მიიტანა. რედაქტორმა მიხეილ კაკაბაძემ — დიდი ხნის ადამიანმა და პურნალისტმა — აირჩია ის, ვარდნაში რომ ვიდეა ბურთს. მეორე სურათი მე მომიცა საჩუქრად. რას ვიფიქრებდი მაშინ, რომ ოთხი ათეული წლის შემდეგ კვლავ მომიწევდა მისი მოტანა „ლელიში“. (სწორედ მას ვბეჭდავთ დღეს.) გურამ თიკანაძე რუსთაველის თეატრშიც შეწვია საექტა-



მაეგას. სწორედ ამის შემდეგ მე და ჩახვა მიგვიწვიეს რუსთაველის თეატრში, ხოლო გეგმაქორი — მარჯანიშვილისაში, საიდანაც ის ერთი წლის შემდეგ რუსთაველებს შემოგვიერთდა.

ოცამდე როლი შეასრულა მშობლიური შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე ბიჭიკო ანდრონიკაშვილმა: აკაკი ბერი („დიდი ხელმწიფეში“), ტონი („ერთი დამის შეცდომებში“), პანდოლო („საპატარძლო აფიში“) და სხვა. ჩვენს წინ გახეთ „ზარია ვოსტოკას“ ძველი ნომერი დევს ცნობილი მოსკოველი თეატრმცოდნის ოსებე ალტმანის რეცენზიით რუსთაველელთა სექტაკლ „დიდი ხელმწიფეზე“; „განსაკუთრებით აღსანიშნავია მსახიობ ნ. ანდრონიკაშვილის მიერ

თუ არის თუ არა...

კლზე. ოსტროვსკის „ზოგჯერ ბრძენი შეცდება“ იღებებოდა. მე ემახეულ აფხაძესთან ერთად ერთ-ერთ მთავარ როლს ვთამაშობდი — მონღე გოროდულისის. სექტაკლი დღით ალექსანდრე დავით სხვათა შორის, „გოროდულისში“ გამოცდილი ვიყავი — ჯერ კიდევ 1944 წელს ვმონაწილეობდი სადიპლომო სექტაკლში გიორგი ტოტოტოროვიკის ხელმძღვანელობით. თამაშად შემომდია ვეჭვა, რომ თეატრალური თბილისი მაშინ პირდაპირ აღტაცებული იყო ამ სტუდენტური სექტაკლით. გოგი გეგეჭკორი მაშინაც გლუმოდა თამაშობდა, ვალიკო კვაქაძე — კრუტიციის, მიშა გიკიმიყრილი — კურჩაგის, შოთა ქარუნიშვილი — მაშაევის, ლიანა ზვინავა (მომავალში იგი ვრიბთელოვის თეატრის მსახიობი გახდა, ნიკოლოზ სანიშვილის კინოფილმ „ბედნიერ შეხვედრაში“ ითამაშა მარინა კორილიოვას როლი). — მა-

ბერი აკაკის როლის მშვენიერი შესრულება. მსახიობი იმათივე მთლად როლშია შესული, სულ მოქმედებაშია, ანსამბლთანაა შერწყმული...“ —

„ი სად გამოდგა ბიჭიკო ანდრონიკაშვილს თავისი ეზოს თეატრი, მის მიერ ჩამოყალიბებული თანატოლი გოგო-ბიჭების „დასი“, რომლის მთავარი მოქმედი პირი, ავტორი, რეჟისორი, მსახიობი და, წარმოდგენით, ზოგჯერ ერთადერთი მახურებელიც თავად იყო. დგამდნენ „არსენას“, „გიორგი საყავის“, „ურკლე მეფეს“, „ცოტნე დადას სხვადასხვანაირ სცენის კორიფებს“; ნამე ჩნივდეს, აკაკი ხორავას, აკაკი ვსაძის, გიორგი დავითაშვილს, სპარტაკ ბაღაშვილს, ვასო გვახაშვილს, გიორგი შაველიძეს, სერგე, ომის დაწყების წინ, ანდრონიკაშვილი თეატრალური აქტის სტუდენტი გახდა. ნაგავობა-

ოცნება აისრულა — რუსთაველის თეატრის სცენაზე მრავალგზის გამოვიდა და რამდენიმე კონსურათშიც მიიღო მონაწილეობა.

ახლა კი დროა, მისი სპორტული გატაცების შესახებაც ვისაუბროთ. ფრენბურთი ჩვენს რესპუბლიკაში მაშინ საკმაოდ პოპულარული იყო და შესანიშნავი ფრენბურთელებიც გვყავდა — კონსტანტინე ლომინაძე, ვიცი, ახვლედიანი, ვიქტორ თელია, თორნიკე ყიფიანი, სერგო ტარახნიანი, ევგენი რომანიანი, გურამ გაბაშვილი. ახალგაზრდა სპორტსმენს ბიჭიკო ანდრონიკაშვილს საშუალება ჰქონდა მავალითი ავლო ნებისმიერქსიანად. განსაკუთრებით ემალიერება იგი კონსტანტინე ლომინაძეს — მშვენიერ, მრავალმხრივ

ბიჭიკო ანდრონიკაშვილი 1940 წელს საქართველოს ნაკრებში შეიყვანეს, რომელშიც 12 წელიწადი გამოიღოდა. „ნაუკოდა“ იგი „დინამოში“ გადავიდა 1944 წელს. სად არ უთამაშია ბ. ანდრონიკაშვილს — როსტოვში, მოსკოვში, ლენინგრადში, კიევიში, ხარკოვში, ბაქოში, გრენოში, რიგაში, ტალინში — საკავშირო ჩემპიონატსა და ქალაქთა გუნდების მატჩებში, სპორტსაზოგადოებების ცენტრალური საბჭოს პირველობებზე, საქართველოს თუ თბილისის ჩემპიონატებში. მრავალ დიპლომსა და სიგელს იანახავს მისი პირადი კოლექცია, რომელთა შორის, როგორც თავად ამბობს, უძვირფასესია სპორტის ოსტატის ვერცხლისფერი ოთხკუთხა ნიშანი — 1949 წელს რომ გადასცეს წარმატებებისათვის ფრენბურთის ბადესთან.

დღეს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, სპორტის ოსტატი ბიჭიკო ანდრონიკაშვილი თბილისის საესტრადო-თეატრალური სასწავლებლის პედაგოგია, მსახიობის ოსტატობას ასწავლის მომავალ აქტიორებს. სახლში გული ძველებურად არ უჩერდება: ხშირად შეხვედებით მშობლიურ ვერაზე მოსიერებს — ვიცი, რომ გენი უჭირავს საყვარელი ვერის ბაღისკენ, რომელსაც ბაღობიდანაა შეჩვეული, იქ, სადაც ძველი ნაცნობ-მეგობრები ვგულებთ. ეს ადგილი ხომ ერთ დროს თბილისის სპორტული ცხოვრების მექა იყო. პარტიკომულ ბიჭიკოს (გვაბატოს, რომ ისევე მის ძველ, ახალგაზრდულ სახელს ვუწოდებთ) მეგობრებთან ბევრად ნამე აქვს სალაპარაკო და გასახსენებელი. ბოლოს და ბოლოს, იგი ხომ „ორი ბატონის მსახური“ იყო ერთდროულად — თეატრისა და სპორტის.

ოთარ ნოზაძე



დრო სიყვარულს რას დააკლებს!

დავით დავითაიას სახელობის ვეტერან მორაგბეთა საერთაშორისო ტურნირის მონაწილეებს ოთხდღიანი შესვენება ჰქონდათ. ორგანიზატორებმა საინტერესო პროგრამა შესთავაზეს სტუმრებს — საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში სამოგზაუროდ წაიყვანეს, ანახვეს კახეთი, ვარძია, ქუთაისში საკავშირო თასის ფინალურ შეხვედრას დაასწრეს.

გუშინწინ კი ისინი „ძირითად საქმიანობას“ დაუბრუნდნენ და პირველ მატჩში შესაბამე ადგილისათვის საქართველოს „ა“ და პოლანდიის ნაკრებებმა თამაშეს.

მეტოქეებმა ყურადღება შეხვედრის სანახაობრივ მხარეს მიექციეს, რითაც ფრიალ ასიამოვნებს ერთმანეთს და მყუდროდ გააგრძელეს გარდევები, ეშმაკური კომბინაციები, ლამაზი მარაგები მრავლად ვინილეთ ამ მატჩში.

ინიციატივას ჩვენი ვეტერანები ფლობდნენ და პირველ ტაიმში თამაზ სხალთხევიშვილმა და თემურ ბენდიანაშვილმა ლელოები გაატანეს, რომელთაგან ერთი გარდასახა ნუკრი ამაშიც.


მეორე ნახევარში ძველებურად „გაიბრწყინა“ შერკინების ნახევარ-მცველმა ზურაბ ხარშილაძემ. მან მოედინა ერთი კილიანი მეორეზე (!) ფეხით გადააწოდა ბურთი ბენდიანაშვილს, რომლის დაწყებული შეტევა გააგრძელა თამაზ ანდრეულაძემ და ლელოთი დაასრულა მერაბ ნიქარაძემ.

პოლანდიელებმა შეხვედრის ბოლოს „პრესტიჟის ლელო“ გაატანეს. საბოლოო გაიმარჯვეს ქართველებმა — 14:6 და დიკავებს შესაბამე ადგილი.

ფინალში კი ტურნირის დაწყებამდე აუტსაიდებულად შერაცხულნი — საქართველოს „ბ“ და ლატვიის ნაკრებები შეხვედრენ ერთმანეთს.



სპორტის არაერთ სათამაშო სახეობას გააჩნია „შემსუბუქებელი“, ე. წ. საბალეტო ვარიანტი, რაგბის კი, ნურას უკაცრავად — რაგბი მულამ რაგბია! ამახ ადასტურებს დ. დავითაიას სახელობის ვეტერან მორაგბეთა მატჩების ეს მომენტებიც.



სპორტის არაერთ სათამაშო სახეობას გააჩნია „შემსუბუქებელი“, ე. წ. საბალეტო ვარიანტი, რაგბის კი, ნურას უკაცრავად — რაგბი მულამ რაგბია! ამახ ადასტურებს დ. დავითაიას სახელობის ვეტერან მორაგბეთა მატჩების ეს მომენტებიც.




უკიდურესად დაძაბულ მატჩში წარმატებას პირველად ქართველებმა მიადნეს: მცველი ლევან მგელიაძე დროულად ჩაერთო მარათში და ოსტატურად დაამიწა ბურთი. ამას მალე მოჰყვა ლატვიელთა საპასუხო ლელო და შეხვედრაც გარდამავალი უპირატესობით გაგრძელდა. დიდხანს ვერავინ მიაღწია სასურველ შედეგს, მაგრამ შემდგომში ლატვიელი ვეტერანები ცოტა არ იყოს დაიბოლნენ და რამაზ სანებლიძისა და მალხაზ კორთაშვილის კომბინაციამ ამ უკანასკნელის ლელოთი დაასრულა.

შეხვედრის მიწურულს თავი გამოიჩინა მიხეილ გარუჩავამ. მან რამდენიმე მეტოქესთან ჭიდილში ლელო გაიტანა, რომელიც გარდასახა ფარსმან გაბაძემ. ხოლო სტუმრების ლელოს უკანასკნელ წუთზე საბოლოო შედეგის შეცვლა აღარ შეეძლო — 14:10, გაიმარჯვა საქართველოს „ბ“ ნაკრებმა და მოიპოვა საპატიო პრიზი.

მამ ასე, დასრულდა დავით დავითაიას სახელობის ვეტერან მორაგბეთა პირველი საერთაშორისო ტურნირი, რომელსაც ბევრი რამით დაიხსოვებს მაყურებელი: პირველ ყოვლისა, თვით ვეტერანთა თამაშით — მათ ხომ ახალგაზრდობა გაინსენეს და ჩვეული შემართებით და ხალისით ითამაშეს, რითაც დიდი სიამოვნება მოგვანიჭეს. მეორეც, საფუძველი ჩაეყარა კიდევ ერთ „ჩვენებურ“ საერთაშორისო შეჯიბრებას, რომელიც, ალბათ, ტრადიციული გახდება, იმედია, შემდგომშიც ვინილავთ მოედანზე ჩვენსა და უცხოელ ვეტერან მორაგბეებს, რომელთა გამოცდილება და ოსტატობა მაყურებლისთვის სასიამოვნო სანახაობაა, ახალგაზრდა მორაგბეებისთვის კი — კარგი გაკვეთილი.

მერაბ პირისთავი.



სპორტის არაერთ სათამაშო სახეობას გააჩნია „შემსუბუქებელი“, ე. წ. საბალეტო ვარიანტი, რაგბის კი, ნურას უკაცრავად — რაგბი მულამ რაგბია! ამახ ადასტურებს დ. დავითაიას სახელობის ვეტერან მორაგბეთა მატჩების ეს მომენტებიც.

თუ ესპანეთის საღამოს ვარსკვლავის ქვეყანას უწოდებენ, ბარსელონის მსოფლიოს კიშორად მიიჩნევენ. ასე ამტკიცებს ყველა კატალონიელი, ესპანეთის ისტორიული ოლქის მცხოვრებლები, ოლქისა, რომელმაც 21 წლის წინათ ბასკების ქვეყანასა და ცოტა მოგვიანებით ვალისისთან ერთად ავტონომიის სტატუსი მიიღო. ბარსელონის შესახებ ყოველგვარი საუბარი ამჟამად მომავალი 1992 წლის ოლიმპიურ ასპარეზობებს უკავშირდება. საკმაოდ ხანგრძლივი, ძნელი და ეკლიანი იყო ბარსელონის გზა ოლიმპიასკე, მხოლოდ მეოთხე ცდაზე შეძლო სანუკიარი ზღუდის დალაშქვრა.

ეს შესაძლებელი გახდა ცხარე დებატების შემდეგ 1986 წელს ლოზანაში (შვეიცარია), საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 91-ე სესიონზე ხმის მიცემის მრავალსაფეხურიანი სისტემის შედეგად, სადაც ბარსელონა ოფიციალურად გამოაცხადეს ზაფხულის 25-ე ოლიმპიურ ასპარეზობათა დედაქალაქად. მანამდე ბარსელონელებს ჰქონდათ სამი წარუმატებელი ცდა. 1924 წელს ბარსელონა უკან ჩამოიხრია პარიზში. 12 წლის შემდეგ კვლავ ბარსელონას ჰქონდა შანსი, რომლის სასარგებლოდ ხმა მისცა თვით ბიერ კუბერტენმა, მაგრამ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრებმა ბერლინს მისცეს უპირატესობა. 1972 წელს კატალონიის დედაქალაქს მიუხედავად „გადაურბინა გზაზე“.

ამჯერად ბარსელონას მსოფლიოს ხუთ ქალაქთან მოუხდა ბრძოლა. ისე ჩანდა, რომ ახლაც ბედი ზურგს შეაქცევდა ამ კემპარიტად სპორტულ ქალაქს. ხანგრძლივი დებატების შემდეგ დარჩა ორი — პარიზისა და ბარსელონის კანდიდატურა. საფრანგეთის დედაქალაქმა თითქოსდა შეუვალი არგუმენტი წარმოადგინა: 1992 წელს სრულდება 100 წელი მას შემდეგ, რაც თანამედროვე ოლიმპიური მორაგბის ფუძემდებელმა ფრანგმა ბიერ დე კუბერტენმა სორბონში ხმა მისცა ოლიმპიურ ასპარეზობათა მოწყობის ტრადიციის აღდგენას.

მაგრამ ბარსელონელებმა წინიანი კონტრარგუმენტი წამოაყენეს: 1992 წელს სრულდება 500 წელი, იმ დღიდან, როცა სახელგანთქმულმა გენუელმა ქრისტეფორე კოლუმბმა ესპანური კარავლებით ბარსელონიდან, სადაც მამინ განლაგებული იყო მეფის სასახლე, შორეული ნაოსნობისკენ იღო გეზი, რაც ამერიკის აღმოჩენით დასრულდა. ამის გარდა კატალონიის დედაქალაქის დღეგაცემან თავისი არგუმენტი ფრიალ მნიშვნელოვანი ფაქტით განამტკიცა: საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ჰუან ანტონიო სამარანიჩი წინაშე მობრუნდა ბარსელონელია და ამისთვის შეუძლებელი იყო, ანგარიში არ გაეწეათ.

გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიცრა, რომ ბარსელონის მხოლოდ ამ კონტრარგუმენტმა მოახდინა გავლენა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიის საბოლოო გადაწყვეტილებაზე — კატალონიის დედაქალაქი გამხდარიყო ზაფხულის 25-ე ოლიმპიურ ასპარეზობათა ცენტრი. კატალონიასა და მის დედაქალაქს უმდიდრესი ისტორია აქვს. ბარსელონა უძველესი ქალაქია. ვარაუდობენ, რომ მისი სახელწოდება წარმოიშვა ჩვენი წელთაღრიცხვამდე მესამე საუკუნეში კართაგენელთა მიერ ახლანდელი ბარსელონის ადგილზე შექმნილი დასახლება ბარსინოს სახელისაგან.

მოსახლეობის რაოდენობით ესპანეთის მეორე ქალაქი უდიდესი ურბანიზაციულ ზონად და სამრეწველო აგლომერატად გადაიქცა. ამჟამად ბარსელონა მოიცავს რამდენიმე შედარებით მოზრდილ სამრეწველო ქალაქსა და ეგრეთ წოდებულ ქალაქ-საბინებლებს, დაახლოებით 4 მილიონი მოსახლეობით. ბარსელონა მსოფლიო ტურიზმის ერთ-ერთ უდიდესი ცენტრია. საკმარისია ითქვას, რომ მარტო ამ ქალაქის მრავალრიცხოვანი ნავსადგურები ყოველწლიურად იღებენ დაახლოებით ათი ათას ხომალდს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის

ალმით, რა იზიდავს ბარსელონისაკენ მილიონობით ტურისტსა და საქმიანი საქმეების წარმომადგენლებს? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ძნელი არ არის. კატალონიის დედაქალაქი — ეს არის მუხუჭი და ცის ქვეშ, ესპანეთის მოზრდილი სამრეწველო, სავაჭრო-საფინანსო ცენტრი, ხოლო თვით კატალონია მთელს საზღვარგარეთულ ევროპაში ყველაზე ინდუსტრიულ ცენტრად ითვლება. ბარსელონაში ორჯერ მოეწყო მსოფლიო გამოვენები — 1888 და 1929 წლებში.

ბარსელონაში ჩემი მეგობრები იყვნენ შესანიშნავი ესპანელი ყმა-წყილები — ძმები ფერერო და ხუან გონსალესები. მათი მამა ხოსე გონსალესი შორეულ 1937 წელს შეიძინა წლისა ჩამოყვანეს საბჭოთა კავშირში, როცა ესპანეთში ფაშისტ მემამბრებმა წინააღმდეგ ეროვნულ-რევოლუციური ომი შეიწყვიტა. მხოლოდ ორმოცე წლის შემდეგ შეძლო ხოსემ მშობლიურ მიწა-წყალზე დაბრუნება. განსჯუთობით უნდა აღინიშნოს, რომ ესპანელები ძალზე გულთბილად ლაპარაკობენ საბჭოთა კავშირზე, მის დიდ მხარდაჭერასა და დამხმარებელ ესპანეთისათვის იმ მძიმე წლებში. რესპუბლიკელთა მხარეს იბრძოდა 2 ათასზე მეტი საბჭოთა მონაღოსე. მათ შორის იყვნენ ჩვენი შესანიშნავი თანამემამულენიც — მომავალი კონტრადმირალი სიმონ რამიშვილი, გენერალ-მაიორი ვლადიმერ მოდებაძე და სხვები, რომლებმაც რეაქციის ძალების წინააღმდეგ ესპანელი ხალხის გმირული ბრძოლის მატყანე-

ქრისტეფორე კოლუმბის მკვლელობის დანაშაულის კანონი სხამოთიან მოედანზე გახდა ქვეყნის ბარსელონის ულამაზესი ბულვარი — ლას-რამბლასი, მთლიანად შესანიშნავი კადრებით განამშენებულ. რამბლასი ბარსელონელთა სიამაყეა. აქ ხშირად ამბობენ: მადრიდი შეიძლება იყოს ქალაქი ყოფილიყო, მასში რამბლასი რომ იყოსო. ხუმრობით თუ სერიოზულად ხშირად მსმენია ბარსელონისა და მადრიდის ღირსშესანიშნაობათა შედარება, ჩანს ლამაზი ქალაქის სახელწოდების უფლებსათვის მადრიდსა და ბარსელონას შორის პაექრობას დიდი ხნის ისტორია და ღრმა ფესვები აქვს.

ლას-რამბლასის პროსპექტი ბარსელონის გულია, მისი სოციალდო-ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების ცენტრია. აქ უამრავი კაფე, მათაზია, მოგზაურობათა ბიუროა. ფეშენებელური ოტელის „ინტერნაციონალის“ წინ განლაგებულია მსოფლიოში ერთ-ერთი ულამაზესი ოპერისა და ბალეტის თეატრი — ელ-ლისეო, რომელსაც აქ ბარსელონის ლა სკალას უწოდებენ. ლას-რამბლასის დასაწყისში არც ისე დიდი ხნის წინათ გაიხსნა „მუხუჭი სერა“ — ცვილის ფიგურების მუხუჭები, მადამ ტრუსოს ლონდონური მუხუჭების მსგავსად. ერთ-ერთ დარბაზში დგას ცვილისაგან შესანიშნავად ჩამოქნილი, სსრ კავშირის პრეზიდენტის მ. ს. გორბაჩოვის ფიგურა თანამედროვეობის ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეთა ქანდაკებებს შორის.

ბარსელონა-მსოფლიოს ჭიშკარი

ში თანამეგობრობის არაერთი ამალელებელი ფურცელი ჩაწერეს. ასოვით ისიც, რომ საქართველომ, კერძოდ თბილისმა, გულთბილად მიიღო ფაშისტური დიქტატურის მსხვერპლი — ესპანელი ბავშვების დიდი ჯგუფი.

ფერერო და ხუანი საქაოდ კარგად ლაპარაკობენ რუსულად და ბარსელონაში ერთ-ერთი ტურისტულ ფირმაში მუშაობენ. ისინი საქართველოში არ ყოფილან, მაგრამ მამისაგან და სხვა ნაცნობებისაგან ბევრ რამ საინტერესო სმენიათ მსხვე; იცნობენ საქართველოს სპორტულ მიღწევებს, კერძოდ თვალსაჩინო ქართველ მოკლდარბაზებსა და მოკლდარბაზებს. ჩემს ახალ ნაცნობებთან ერთად ბენდიანაშვილმა მხვდა წილი, მძიმეყო მრავალსაათიანი ექსკურსია ბარსელონაში.

რომანტიკული სახელწოდების მქონე ქალაქი — სამყაროს კიშორად აღიარებული ნეოგოთური სტილის ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი მონუმენტი — ქრისტეფორე კოლუმბის ძეგლი, რომელიც 60 მეტრის სიმაღლეს აღწევს. სხვათა შორის აქ დიდი ზღვაოსნის გვარს სხვაანაირად წარმოთქვამენ — არა კოლუმბი, არამედ კოლონი. ამ მოედნიდან, უფრო სწორად ქრისტეფორე კოლუმბის ორიგინალური ძეგლიდან, იწყება ბარსელონის ყველა ტური-სტული მარშრუტი.

ეროვნული დღესასწაულების საერთაშორისო კონკურსებისა თუ ფესტივალების დღეებში ამ მოედანზე აგებენ ლამაზ ესტრადას. იმ დღეებში აქ შეიძლება მოუსმინოთ სახელგანთქმულ მომღერლებს, გაეცნოთ ჩვენი პლანეტის საუკეთესო მუსიკალური კოლექტივების შემოქმედებას. ბარსელონაში მკაფიოდ გამოიყოფა სამი ნაწილი: ძველი, ახალი ქალაქები და მათთან შეერთებული ვარეზებები. ქალაქს ნახევარწრედ აკრავს საშუალო სიმაღლის მთები თიბიბოლო და მონთ-ჟუიჩი. ეს არის საპარკო ზონები და ქალაქის პანორამის მიმოხილვის ადგილები.

ლას-რამბლასიდან იღებს სათავეს მრავალრიცხოვანი წყნარი და ვიწრო ქუჩები. ეს არის დიდი და პატარა სასახლეების, შესანიშნავი ძეგლების, უნიკალური მუხუჭებისა და სურათების გალერეების ადგილი. შეუძლებელია გვერდით აუაროთ მონკალდის ქუჩაზე შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრის მასიურ კიშკარს. აქ მოგიხთა ეზოში იწყება პაბლო პიკასოს მუხუჭების ექსპოზიცია. ბარსელონელები სიამაყით ამბობენ, რომ დიდი მხატვარი 14 წლის ასაკში მათ ქალაქში სწავლობდა. როცა ბარსელონაში ფეხბურთში მსოფლიოს XII ჩემპიონატი მიმდინარეობდა, საზეიმო გახსნის ცერემონიის დროს სტადიონის მინდორზე მრავალრიცხოვანმა ნორმა ფეხბურთელებმა შვიდობის სახელგანთქმული მტრები „დახატეს“.

ვიწრო და მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებში დიდი ხნის ხეტილის შემდეგ ვრანვის პროსპექტი — ერთ-ერთ ყველაზე გრძელ მაგისტრალზე ვაღვივით. პროსპექტის თავისა და ბოლოში ვანსავილებული ორი სტადიონი კორიდასათვის; აქვეა სპორტის სასახლე. კორდა და ფეხბურთი ბარსელონელთათვის სპორტის ყველაზე საყვარელი სახეობებია, რომლებზეც დავობენ ბარსელონელები. სიტყვამ მოიტანა და ბარსელონის მრავალრიცხოვანი ბარბა და ტავერნები განსაკუთრებით უნდა ითქვას. აქ არა მარტო წყურვილს მოიკლავთ და გემოელად დანაყოფობთ, შეიძლება მეგობართან ერთად შეეჩქეთ ფინჯან ყავას ან კათხა ლუდს. ბარსელონის ბარბები და ტავერნები ადგილობრივი ქუჩის ან, როგორც ჩვენ ვუწოდებთ, მიკრორაიონების სასპორტო გუნდებისა თუ სოციალდო-ბათა ნამდვილი ცენტრები გახდნენ. სადაც ვინდა შეხედეთ, ყველაგან გამოკრულია სპორტული შეხვედრების განრიგები, ტურნირები-

უცხოეთის ფეხბურთის ამაგები

● ბელგიის ნაკრების მწვრთნელმა გი ტისმა განიზრახა ნაკრებში ვეტერანი ერვინ ვან დე ბერგის დაბრუნება. სწორედ ერვინის ტიპის ვალენტინო გვაკლდა მსოფლიო ჩემპიონატზე ინგლისელებთან მატჩში. — თქვა მან.

● არგენტინელ მეკარე ლუის ისლასს დიდი ხნით დაამბსოვრდება 1990 წელი. ესპანეთის „ლოგრონიესის“ შემადგენლობაში დასაბრუნების ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე აღიარეს. მთხედვად ამისა, ნაკრების მწვრთნელმა ბილარდომ აგი პუბლიცისტს დუბლიორად დასახველა. განაწყენებულმა ისლასმა უარი თქვა იტალიაში ვამგზავრებაზე, რითაც უნებლიეთ ხელი შეუწყო თავისი კონკურენტის სერხიო გოიკოჩეას აღზევებას. ახალი

სეზონის წინ ისლასმა მადრიდის „ატლეტიკოსთან“ დიწყო მოლაპარაკება, მაგრამ ბოლო მომენტში მას ავტარალივით ფორვარდი როლანდო ამოქონიეს. ამ დროს „ლოგრონიესმა“ იყიდა რუმინელი მეკარე სილვიუ ლუნგი და ისლასს უშუშევირი დარჩა. ბოლო უსიამოვნება არგენტინელს სექტემბრის მიწურულში შეეძინა. მეუღლის ფიზიკური შეუზრაცხოფისათვის იფს საამარტლოს წინაშე წარდგა.

მაცრი მსოფლიო პირველობაზე ყველაზე სანთქალა

იმ დრო, რუსული დაცვა მეტად უფერულ დეზიუტად ითვლებოდა. მასზე ცოტას წერდნენ თეორიულ გამოკვლევებში, წამყვანი დიდოსტატები მშვიდად მიმართავდნენ ამ დეზიუტს.

70-იანი წლების მიწურულიდან მდგომარეობა შეიცვალა. რამდენიმე თეორეტიკოსმა დაამუშავა დაცვითი გეგმები, რომელთა თანახმად ცენტრე, საიმედო პოზიციას იღებდნენ, ცნობილმა დანიელმა დიდოსტატმა ბენტ ლარსენმა შევედითი მოუწოდა კარბოვს. პრაგმატიკოსმა კარბოვმა გაითვალისწინა ეს გეგმითი და თვით შეიტანა რუსული დაცვა თავის სადებიუტო რეპერტუარში.

და აი, მატჩის მეათე პარტიაში კარბოვმა შეაგებინა სწორედ რუსულ დაცვას მიმართა. მაშ ასე, ეს უკვე მეათე დებიუტია ესპანური პარტიის, ძველდღიური და გრუნდელის დაცვის შემდეგ, რომელიც ამ მატჩში გამოიყენეს. როგორია მისი გამოყენების ეფექტი?

რა თქმა უნდა, მატჩის წინ კასპაროვი მოელოდა, რომ კარბოვს შეეძლო ამ დასაწყისისათვის მიემართა და, ასე ვთქვათ, საყაიმო გზა ეყებნა. რუსულ დაცვას ხომ მაშინ იყენებენ, როცა ორმხრივ მუშავებთ თამაშს ერთდებთან და ცდილობენ მტრეც თავდაცვითი პოზიცია მიიღონ. მაგრამ ამაჯერად საქმე მხოლოდ თეორიული რეკომენდაციე-

ბით არ შემოიფარგლა. კარბოვმა უკვე მეცხრე სვლაზე ახალი გარდები გამოიყენა და პოზიცია მთლიანად გაათანაბრა. მსოფლიო ჩემპიონი მთელი 40 წუთით ჩაფიქრდა, მაგრამ ინციდენტისათვის ბრძოლის გზა ვერ მოიხაზა. ამას ლაზიერების გაცვლა და მდგომარეობის შემდგომი გამარტივება მოჰყვა. უკვე მეათეამეტე სვლაზე მეტოქეები უამრავ შეთანხმდნენ. ეს ყველაზე ხანმოკლე პარტიაა მატჩში, თუმცა სრულიად არ იყო მოკლებული შინაგან დრამატიზმს. ახლა კასპაროვმა და მისმა თანამემუშავეებმა უნდა ეძებონ თათრებით ინციდენტისათვის ბრძოლის ახალი გზები.

ასე თუ ისე, ანგარიში გახდა 5:5. მორიგი, მეათეამეტე პარტია, რომელშიც თათრებით პრეტენდენტს ითამაშებს, ხვალ უნდა გაიმართოს.

მატჩის ირგვლივ

რას ვიპოვებთ პარტიაში

ანატოლი კარბოვი: გარის, ცხადია, თავისი სისუსტეები აქვს. მისი მთავარი ნაკლი ის არის, რომ ცუდად იცავს თავს. მართალია, სხვა მეტოქეები ამ ხარვეზს ვერ იყენებენ, მაგრამ, სამაგიეროდ, ამის გაკეთება ჩემთვის ძნელი არ არის.

გარი კასპაროვი: კარბოვის მთავარი სისუსტე ის არის, რომ ჩემს წინააღმდეგ თამაშობს! სწორედ ამის გამოა, რომ სხვა დიდოსტატების წინააღმდეგ ბევრად უფრო დამაჯერებელ შედეგებს აღწევს. გარდა ამისა, მასზე ჩვენი რთული თეორიული მუშაობა მოქმედებს. ამ უპირატესობათა გარდა მაქვს ერთი — კარბოვს ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ძალზე ცუდად მოქმედებს ის გარემოება, რომ 1984-85 წლების შეწყვეტილ მატჩში ვერ გამოიყენა დიდი უპირატესობა — იგი ხომ მაშინ ჩემს განადგურებას აპირებდა ანგარიშით 6:0. ბედის ჩარხის შემორთავსებას, ალბათ, ვერასოდეს დაივიწყებს.

ქარბოვი: მე ყველაფერს მივაღწიე, ერთი და მარტა: სამაგიეროდ გადავხადე კარბოვს ჩემი სრული განადგურების მაშინდელი უკეთური ცდისთვის.

ორი კატაგორიული

მატიცხა: უფროსობა კასპაროვსა და კარბოვს სთხოვეს ორივე სიტყვით შეფასებინათ მატჩში შექმნილი სიტუაცია.

კასპაროვი: ჩემი უპირატესობა თანდათან უნდა გამოიყვეთოს. ვიმეორებ, იგი ისეთი ანგარიშით უნდა დაეამარცხო, რომ ვერასოდეს მოვიდეს გონს.

კარბოვი: ვინ ვის დაამარცხებს, ამას ძალიან მალე ვნახავთ. სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ დაიბრუნებ მსოფლიო ჩემპიონის წოდებას.

„თამაში უდრის“

პირველი: პარტიებისას კასპაროვი ძველი რუსეთის დროის თამაშობდა, კარბოვის დღევანდელი ხელმძღვანელობა, დიდოსტატმა ნიკოლოზ კროგოვსმა მისი გამო ოფიციალური პრეტენდენტ მიმართა შე-

ჯიბრების მთავარ მსაჯს გიისენს (პოლანდია). მსაჯმა მხოლოდ გაასაფრავა ხელები და განაცხადა, რომ ღრმად შეისწავლა არავითარი ინსტრუქცია არ მიუღია ფიდეს პრეზიდენტისაგან (კამპომანესი კი მატჩს არ ესწრება).

როცა კროგოვსმა განმეორებით შეიტანა პროტესტი, ამაჯერად მატჩის სააპელაციო კომიტეტის თავმჯდომარე ლიმ კოჯანთან, სინგაპურელმა პროფესორმა გადაწყვეტილება მიიღო მაგიდან ერთი დროშივე აეღოთ და მეორეც.

— ფიქტობ, მოჰდარაკეებს დროების გარეშე შეუძლიათ თამაში.

პრაგმატიკოსი

იმ კორესპონდენტებს შორის, რომლებიც მატჩს აშუქებენ, ყველაზე ასაკოვანი 80 წლის მიველ ნაიდორფია. განთქმული არგენტინელი დიდოსტატი, როგორც ყოველთვის, ბუენოს-აირესის გაზეთ „კლარინს“ მიმომხილველია. მას ბავშვითი უხარია, როცა გამოცნობს მეტოქეთა სვლებს.

ესპანელმა უფროსობამ ჰკითხა ნაიდორფს — რას იტყვის იგი კასპაროვის განცხადებაზე, რომ მსოფლიო პირველობის მორგე, 1993 წლის მატჩში კარბოვი მონაწილენას ვეღარ მიიღებს.

— კასპაროვი მართალი არ არის. კარბოვი მასზე 12 წლით უფროსია, მაგრამ ეს მატჩი რომც წააგოს, რა თქმა უნდა, კიდევ შეუძლია ყველა დანარჩენ პრეტენდენტს სძლიოს, კიდევ ერთხელ ითამაშოს კარბოვთან.

შემდეგ ნაიდორფმა ილაპარაკა მატჩის ჩინებული ორგანიზაციის შესახებ — ყველაფერი საუცხოოდ არის მოწყობილი. არ მეგონა, რომ ქალაქის მესვეურები ასეთი ყურადღებით მოეკიდებოდნენ ამ შეხვედრას და დააკმაყოფილებდნენ ორივე დიდოსტატის ყოველგვარ მოთხოვნას.

— რას იტყვით მეტოქეებზე?
— ნიუ-იორკში ჩამოსვლამდე ერთ-ერთ ინტერვიუში აღვნიშნე, რომ დღევანდელ მოჰდარაკეებს შორის ორი მიმართაა ჰენსოსად: ფიშერი და ტალი. ახლა ვფიქრობ, უფრო სამართლიანი იქნება, თუ მათ კარბოვსა და კასპაროვსაც დაემატებთ.

— იქნებ ისიც გვითხროთ, რომ-

ლის „შტაბია“ უფრო ძლიერი, კარბოვისა თუ კასპაროვისა?
— გარეგნულად თუ ვიმსჯელებთ, კასპაროვს თითქოს უფრო ძლიერი შტაბი ჰყავს, მაგრამ პრეტენდენტის ბანაკში პორტრეტის გამოჩენამ კარბოვის ჯგუფს საგრძნობლად გააძლიერა.

„პარტია რჩეულია“

თამაზია: მატჩზე, დამსწრე მრავალრიცხოვანი კომენტატორები ყურადღებას აქცივენ ერთ გარემოებას: ამერიკის ტელევიზია ყოველდღიურად აწყობს რეპორტაჟებს კეტურთელთა მატჩებიდან, მართლმთა და მოკლურაგეთა შეჯიბრებებიდან, ჰაღრაკზე კი სტუმს.

როცა ამის შესახებ მატჩის სპონსორთა საბჭოს თავმჯდომარე რობერტ ბურკეტს მიმართეს, მან განაცხადა:

— რა არის ამაში გასაკვირი. ჰაღრაკი რჩეულია თამაშია, „ფართო მოხმარებისათვის“ არასოდეს ყოფილა განკუთვნილი.

ნამდვილად ეს საქმე აი, როგორ ყოფილა: ყველა დღეა ამერიკულმა ტელეკომპანიამ თხოვნით მიმართა ბურკეტს, ნება დაეროთ გადაეცათ რეპორტაჟები ამ მატჩიდან, მაგრამ თავმჯდომარე ურყევი იყო:

— არ მსურს ამ შეჯიბრების კომერციალიზაცია!

306 რამდენს მიიღებს?

ცნობილი იუგოსლავიელი მიმომხილველი დიმიტრე ბელიცა, ზაგრების გაზეთ „სპორტსკე ნოვისტისში“ გამოქვეყნებულ მიმომხილვაში წერს:

— ამ მატჩში გამარჯვებული მიიღებს არა მარტო 5/8 ნაწილს სამი მილიონი დოლარის შემცველ საპროზო ფონდიდან, არამედ, ცხადია, სხვა ჯილდოებსაც — ესაა ერთი მილიონი დოლარის ღირებულების ოქროს გვირგვინი, სხვადასხვა პრიზები, შემოსავალი რეკლამიდან და ა. შ.

გამარჯვებულს, საერთო ანგარიშით, დაახლოებით 5 მილიონ დოლარს მიიღებს. რაც შეეხება დამარცხებულს, იმ 900 ათასი დოლარის გარდა, რაც მას საპროზო ფონდიდან ერგება, მასაც მიეკუთვნება სხვადასხვა დამატებითი ჯილდო.

ვიპი ბაზრეკალი

გენტინა) — 1188, 15. გი ფორეი (საფრანგეთი) — 1176, 16. მიკელ ჩანეი (აშშ) — 1163, 17. ჯეი ბერგერი (აშშ) — 1138, 18. ხუან აგილერა (ესპანეთი) — 1100, 19. ჯიმ კუიერი (აშშ) — 1096, 20. იონას სვეინსონი (შვეიცია) — 1020.

ქალაქები: 1. შტეფი გრაფი (გერმანია) — 284,89, 2. მარტინა ნაგრატილოვა (აშშ) — 203,77, 3. მონია სეღეში (იუგოსლავია) — 173,21, 4. გაბრიელა საბატინი (არგენტინა) — 135,53, 5. მერი ჯო ფერნანდესი (აშშ) — 125,75, 6. არანტა სანჩესი (ესპანეთი) — 121,75, 7. კატრინა მალეევა (ბულ-

ბარსელონა-მსოფლიო ჩემპიონი

(დასასრული)

სა და შეკრებათა თარიღები. სპორტულ თემატიკის გარდა აქ თითქოსდა სხვა დანარჩენს არ რჩება ადგილი. ბარის მეპატრონე, თავის მხრივ, დიდად არის დაინტერესებული ასეთი ორგანიზაციული მუშაობით, რამდენადაც ეს უზრუნველყოფს მუდმივ კლიენტურას.

ბარსელონელები სამართლიანად ამაყობენ თავიანთი მრავალრიცხოვანი სპორტული ნაგებობებითაც, რამაც ბევრად განსაზღვრა ის, რომ კატალონიის დედაქალაქი ოლიმპიურ ასპარეზობათა მოწყობის ცენტრად შეარჩიეს. ალბათ, აქ, უწინარეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ ცნობილი საფეხბურთო კლუბის „ბარსელონას“ საუცხოო სპორტული კომპლექსი. მის მთავარ ნაგებობაზე, უფრო ზუსტად, ფეხბურთის სარბიელ „ნოუ კამპზე“ გაიმართა მსოფლიოს XII ჩემპიონატის მატჩები ფეხბურთში. რეგისტრირებული ტრიბუნები 125 ათას მაყურებელს იტევს. შორიახლო ვანლაგებულა კიდევ ერთი სტადიონი „ესპანიოლ“.

მომავალმა ოლიმპიურმა ასპარეზობებმა შეარყია კატალონიის ისედაც ძალზე ანაღურებული დედაქალაქი. ბარსელონა ამჟამად უფრო მეტია, ვიდრე ბარსელონა, — ამბობენ ამ შესანიშნავი და სტუმართმოყვარე ქალაქის პატრიოტები. ქალაქის ახალ ნაწილში მთელი ძალით მიმდინარეობს სასპორტო კომპლექსების, სტადიონების, ტრეკების, კორტების რეკონსტრუქციის და მშენებლობის სამუშაოები. შენდება ოლიმპიური სოფელი ქალაქის ჩრდილო დასავლეთში, შემაღლებულ ადგილზე, საიდანაც ქალაქის შესანიშნავი პანორამა იშლება. მომავალი ოლიმპიური სოფლის თვითული ქუჩა წარმოსახვს ესპანეთის ერთ-ერთ რომელიმე პროვინციას. აქ უამრავი დივიდი იქნება ამა თუ იმ პროვინციის ყოფი, ტრადიციები, ეროვნული სამაზარეულო. ოლიმპიადის შემდეგ სოფელს, ისევე როგორც მოსოფელსა და სხვა ქალაქებში, საქალაქო საბინაო ფონდში ჩაირიცხავენ.

როცა ბარსელონაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არაფერი ვთქვათ მის საქვეყნოდ ცნობილ არქიტექტორსა და მოქანდაკეზე — ანტონიო გაუდიზე (1852-1926). მისი ყველაზე სახელგანთქმული ქმნილებაა დაუნიმთავრებელი ტაძარი „წმინდა ოჯახი“, რომლის მშენებლობა 1884 წელს დაიწყო. ეს იმდენად საუცხოო სახანაობაა, რომ სიტყვები არ მოეფინის მის გადმოსაცემად. ტიბიდობის ბორცვის ფერდობებზე მდებარეობს ა. გაუდის კიდევ ერთი ქმნილება — გაუდის პარკი თავისი შესანიშნავი არქიტექტურული ნაგებობებით. შადრევანებით, კლუბებით, ხოლო ცოტა მოშორებით — მილას სახლი, რასაც ხალხში „ლა-პედერას“ უწოდებენ, რაც კლდეც, ლოდს ნიშნავს. მილას სახლი არქიტექტურის საოცრებაა.

ბარსელონელები, როგორც შევნიშნე, ძალზე სამართლიანი ხალხია. სიფიცხე, ტემპერამენტი ხელს არ უშლით მათ სადალ და მიუყვარძობლად იმსჯელონ. ახლახან აქ სახელი

შეუცვალეს ქალაქის ერთ-ერთ მთავარ პრესპექტს, რომელიც გენერალისიმუს ფრანკოს სახელს ატარებდა. ფრანკო ბაჰმონელს სახელთან არის დაკავშირებული ესპანეთის ისტორიის ბევრი ტრაგიკული ფურცელი. ჯერ კიდევ 1939 წელს, რესპუბლიკის დაცემის შემდეგ, სამხედრო ხუნტამ იგი ესპანეთის სახელმწიფოს მუდმივ მეთაურად — „კაუდილო“ გამოაცხადა. ფაქტობრივად 1939-დან 1975 წლამდე ქვეყნის მთელი ძალაუფლება ამ „ქონდრის კაცის“ ხელში იყო თავმოყრილი (როგორც მას აქ ეძახდნენ). თუმცა იქ მას არ აგინებენ. მიანიათ, რომ იგი ემსახურებოდა ესპანეთს და თავისი ქვეყნის პატრიოტი იყო. გულთბილად იგონებენ აქ ლეგენდარულ პასიონარის — დოლორეს იბარურის. ბარსელონელებს ძალიან უყვართ პაროკენობა და საქმონობის თავისუფლება, სათუთად ეპყრობიან ისტორიას. როგორც ნებისმიერ ქალაქს, ბარსელონასაც აქვს თავისი პარობლები. იზრდება უმუშევრობა. უკვე დღეს ბარსელონელებს აწვითებთ ოლიმპიურ მშენებლობებზე დასაქმებულ მშენებელთა მრავალრიცხოვანი არმიის ბედი. რა მოუხერხონ ესპანეთის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ ამ მუშებს, რომლებიც, ეტყობა, არც აპირებენ იქიდან წასვლას. აწუხებთ ეკოლოგიური მდგომარეობაც: ტრანსპორტი მთელ დღე-ღამეს მუშაობს, ძალზე ბევრია სამრეწველო ობიექტი, იზრდება დამაშავებელი. თუმცა ესპანეთში პროსტრუქცია კანონით არის აკრძალული, მაგრამ ბარსელონაში ცოტა როდია ამ „უძველესი პროვინციის“ წარმომადგენელი. იქ მათ „ლამის პეპლებს“ უწოდებენ. არიანარკომანებიც...

გამოსამშვიდობებლად ფერერო და ხუან გონსალესებმა ტავერნა „ბანდოლიერიოში“ მიმიწვიეს, სადაც დავაქაშნიკით არომბტული კატალონიური ღვინო „ამპურდანი“. მეპატრონემ ხურდა დამიბრუნა, მექანიკურად დავხედე ესპანურ პესეტებს. ერთ-ერთ მონეტაზე გამოსახული იყო გენერალისიმუსი ფრანკო, ხოლო მეორეზე — ესპანეთის ახლანდელი მეფე — ხუან კარლოს ბურბონი. ორივე მონეტა ხმარებაშია. ჩემს განცვიფრებულ კითხვაზე ხუანმა დიმიტრე ბელიცას: რა განსხვავებაა — ვინ იქნება გამოსახული მონეტებზე, მთავარია ისინი არ გაუფასურდნენ. მწარედ შენიშნა მისი ნათქვამი, მაგრამ, სამწუხაროდ, არაფერი შემედლო მეპასუხა. დავლოთ ესპანეთისა და საერთოელოს სადღეგრძელო, რომელთა ბუნებასა და ადამიანის ხასიათში, თავისუფლებისაგან მათს მიწრაფებაში ბევრ საერთოს ნახავს ადამიანი.

შვიდობით ბარსელონა! 1992 წლის ოლიმპიურ ასპარეზობებზე მომავალ შეხვედრამდე!

ლევან დოლიძე

რედაქტორი თინათი ბანიჩილაკი

თავილის „შეპარდენის“ სტადიონი (ბ. ხეაწიციკის ქ. № 40)
8 ნოემბერი
ფახსურთი
საპარტიველოს მროვნული ჩემპიონატი
„შეპარდენი-1996“ (თბილისი) — „სამპარალი“ (წყალტუბო).
დასაწყისი 15 საათზე.

მატჩზე დასასწრები ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალონებში 8 ნოემბერს 12 საათიდან.

პოლო რეიტინგი

პროფესიული ჩოგბურთის ასოციაციამ დამტკიცა მსოფლიოს უძლიერეს ქალ-გაყათ რეიტინგი 1990 წლის 1 ოქტომბრისთვის. აი ისიც:

ვაშაბი: 1. სტეფან ედბერგი (შვეიცია) — 3195 ქული, 2. ბორის ბეკერი (გერმანია) — 2665, 3. ივან ლენდლი (ჩეხოსლოვაკია) — 2359, 4. ანდრე აგასი (აშშ) — 2292, 5. ანდრეს გომესი (კუვადორი) — 1754,

6. პიტ სამპრასი (აშშ) — 1718, 7. თომას მუსტერი (ავსტრია) — 1625, 8. ემილიო სანჩესი (ესპანეთი) — 1512, 9. ჯონ მაკინროუ (აშშ) — 1478, 10. ბრედ ჯილბერტი (აშშ) — 1477, 11. გორან ივანიშვიჩი (იუგოსლავია) — 1415, 12. ანდრე ჩესნოკოვი (სსრკ) — 1289, 13. აარონ კრეშტინი (აშშ) — 1268, 14. გილერმო პერეს-როლანდი (არ-

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგობდა გ. ბურდული. კორექტორები ქ. ქავთარაძე და ე. ხომერიძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებსთვის — 880000, თბილისი, შ. კობახია ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილებს განყოფილება — 98-97-55, სამედია — 98-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 98-97-54, „მერანი“ — 98-97-29, „მარტვი“ — 98-97-27.

88950 ინფანსი:
88485

საქართველოს კ. ცვ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორგანიზაციის სტამბა. 880000, თბილისი, შ. კობახია ქ. 14, იბეჭდება იტხტური წესით ხაზგაშეთი კორპუსში: ზოზარაულის, 29.
ტელეწერია ავტორებს არ უბრუნდება.
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20